სოციალური სამართლიანობის ცენტრი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

2023

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სარჩევი

	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	4
ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	7
წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	11 – 19

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №-9) შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა, სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ:

თამთა მიქელაძე

დირექტორი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მედეა ჟღენტი

ფინანსური მენეჯერი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

MOORE

MOORE abc, LLC
2, D. Gamrekeli Str,
0160, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სოციალური სამართლიანობის ცენტრის მენეჯმენტს
ი.აბაშიძის ქუჩა #12 ა
თბილისი, საქართველო

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას, ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე, ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის, მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებზე.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №-9) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *”აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისაგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოსაზრებისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 (ბ) შენიშვნაზე, სადაც აღწერილია პირობები, რომელიც მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს ორგანიზაციის უნართან დაკავშირებით, საქმე გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №-9) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიში *(გაგრძელება)*

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფენ თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სოფო აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-417263

30 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	**შენიშვნები**	**31-დეკ-2023**	**31-დეკ-2022**
მიმდინარე აქტივები			
ნაღდი ფული და ბანკი	3	504,179	557,943
მისაღები გრანტები	4	2,141,950	2,782,147
საგადასახადო აქტივები		1,889	-
წინასწარ გაცემული გრანტები		73,489	73,492
სულ მიმდინარე აქტივები		**2,721,507**	**3,413,582**
ძირითადი საშუალებები	5	83,732	71,584
არამატერიალური აქტივები		4,206	8,410
სულ გრძელვადიანი აქტივები		**87,938**	**79,994**
სულ აქტივები		**2,809,445**	**3,493,576**
ვალდებულებები და წმინდა აქტივები			
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები		8,189	8,565
ვალდებულება დონორის მიმართ		-	369
გადავადებული შემოსავალი	6,7	2,793,863	3,321,543
გადასახდელი გადასახადები		-	2,266
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2,802,052**	**3,332,743**
შეუზღუდავი წმინდა აქტივები		564,116	498,044
დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები		(556,723)	(337,211)
სულ წმინდა აქტივები		**7,393**	**160,833**
სულ ვალდებულებები და დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები		**2,809,445**	**3,493,576**

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2024 წლის 30 სექტემბერს:

თამთა მიქელაძე

დირექტორი
სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მედეა ჟღენტი

ფინანსური მენეჯერი
სოციალური სამართლიანობის ცენტრი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

	შეუზღუდავი წმინდა აქტივები	დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები	2023 წელი	2022 წელი
ცვლილებები წმინდა აქტივებში:				
შემოსავალი				
EU751	-	536,980	536,980	485,190
SWISS_2022	-	269,858	269,858	183,803
RFSU_4401	-	220,084	220,084	-
KVINNA	-	158,194	158,194	83,927
EU043	-	154,444	154,444	159,024
UNFA_2022	-	149,813	149,813	22,556
OSGF – 21391	-	146,431	146,431	10,156
CSEP	-	96,418	96,418	16,602
PROLoG_2039	-	85,309	85,309	38,718
IWPR 662.06	-	77,279	77,279	19,893
CR	-	71,358	71,358	-
OSGF - 21399	-	65,920	65,920	-
DUTCH_AVT16	-	60,131	60,131	-
OSGF_21335	-	54,840	54,840	91,551
PIN	-	51,784	51,784	-
DUTCH 2021	-	42,169	42,169	146,227
BOELL-054	-	40,428	40,428	-
EHRA	-	38,718	38,718	-
BOELL-018	-	37,871	37,871	-
PROLoG_2045	-	35,744	35,744	37,741
IWPR 662.05	-	23,339	23,339	-
FREMBASSY	-	20,843	20,843	-
UNDP_7796	-	18,120	18,120	-
OSGF_21490	-	14,873	14,873	-
EMB.of Lithua	-	8,748	8,748	-
RFSU2019	-	-	-	291,977
OSGF21245	-	-	-	89,341
BOELL002	-	-	-	78,734
BOELL_SP_030	-	-	-	54,528
EF_G03049	-	-	-	47,176
GDI	-	-	-	32,815
OSGF21274	-	-	-	31,400
UNDP_00113905	-	-	-	27,661
SWISS	-	-	-	18,489
UNDP_2022_30	-	-	-	12,730
OSF_45437	-	-	-	11,588
შემოსავალი შემოწირულობიდან	66,072	-	66,072	254,859
სულ შემოსავალი	**66,072**	**2,479,696**	**2,545,768**	**2,246,686**
ხარჯები				
ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	-	(2,499,442)	(2,499,442)	(2,128,465)
წმინდა შედეგი საკურსო სხვაობებიდან	-	(199,766)	(199,766)	(28,719)
სულ ხარჯები	**-**	**(2,699,208)**	**(2,699,208)**	**(2,157,184)**
(ზრდა)/შემცირება წმინდა აქტივებში	66,072	(219,512)	(153,440)	89,502
წმინდა აქტივები წლის დასაწყისში	498,044	(337,211)	160,833	71,331
წმინდა აქტივები წლის ბოლოს	**564,116**	**(556,723)**	**7,393**	**160,833**
დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები	-	(556,723)	(556,723)	(337,211)
შეუზღუდავი წმინდა აქტივები	564,116	-	564,116	498,044
სულ წმინდა აქტივები	**564,116**	**(556,723)**	**7,393**	**160,833**

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2024 წლის 30 სექტემბერს:

თამთა მიქელაძე
დირექტორი
სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მედეა ჟღენტი
ფინანსური მენეჯერი
სოციალური სამართლიანობის ცენტრი

წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება

	შეუზღუდავი წმინდა აქტივები	დროებითი შეზღუდული წმინდა აქტივები	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	**243,185**	**(171,854)**	**71,331**
გრანტები	-	1,991,827	**1,991,827**
შემოწირულობები	254,859	-	**254,859**
ხარჯების დაფინანსება	-	(2,157,184)	**(2,157,184)**
2022 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	**498,044**	**(337,211)**	**160,833**
გრანტები	-	2,479,696	**2,479,696**
შემოწირულობები	66,072	-	**66,072**
ხარჯების დაფინანსება	-	(2,699,208)	**(2,699,208)**
2023 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	**564,116**	**(556,723)**	**7,393**

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2024 წლის 30 სექტემბერს:

თამთა მიქელაძე

დირექტორი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მედეა ჟღენტი

ფინანსური მენეჯერი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარებში

ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგება

დასახელება	IWPR 662.06	IWPR 662.05	OSGF 21335	OSGF 21391	OSGF 21399	OSGF 21490	UNFA 2022	PROLoG 2039	PROLoG 2045	SWISS 2022	EU751	EU043	CSEP	RFSU 4401	DUTCH2021	DUTCH AVT16	BOEL L054	BOEL L018	KVINNA	PIN	CR	EHRA	UNDP 7796	EMB.of Lithua	Own funds	EF G03049	სულ 2023	სულ 2022
შრომის ანაზღაურება	27,534	-	26,043	95,226	24,982	13,767	55,751	59,488	3,034	22,813	120,923	64,453	54,434	104,750	23,611	39,624	22,150	17,787	95,624	33,279	20,696	16,500	4,002	568	44,194	-	**991,233**	**975,998**
ფიზიკური პირებისგან მიღებული მომსახურება	9,638	-	9,163	19,545	10,490	-	43,787	807	2,255	79,880	11,906	8,182	11,486	36,366	4,686	4,564	4,403	6,901	10,889	8,446	6,916	988	12,130	4,610	23,198	-	**331,237**	**195,179**
თანაგანმახორციელებელ პარტნიორებთან დაკავშირებული ხარჯი	8,661	18,934	-	-	-	-	-	-	-	67,759	186,903	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	3,382	-	-	-	-	**285,639**	**278,137**
თარგმნის ხარჯი	1,288	-	79	6,511	-	-	7,516	1,993	2,976	14,612	7,467	4,822	4,799	20,719	2,119	3,367	5,345	2,407	8,618	-	11,843	2,339	4,242	1,081	255	-	**114,401**	**79,865**
კვლევის ხარჯი	-	-	1,701	-	2,560	-	-	-	3,684	4,112	11,292	25,478	13,418	6,378	5,833	-	-	-	7,015	-	23,962	-	-	-	5,740	-	**111,172**	**81,895**
ღონისძიებისა და ტრენინგის ხარჯები	125	271	2,832	2,711	4,422	-	5,208	-	6,736	16,368	7,700	5,164	3,149	365	2,891	1,600	1,375	281	4,132	371	4,174	3,500	-	-	10,095	-	**83,469**	**41,845**
ტრანსპორტირება	1,553	-	2,426	2,875	1,110	210	8,792	4,537	1,913	23,141	10,103	2,049	2,086	3,258	-	999	816	720	4,890	1,720	510	889	425	-	2,800	-	**77,824**	**64,542**
საიჯარო ხარჯი	2,919	-	3,079	2,795	-	377	3,659	6,019	-	4,423	7,958	7,319	7,347	12,010	-	3,793	-	-	5,790	4,712	750	-	-	-	174	-	**72,950**	**73,350**
სასტუმროს მომსახურების ხარჯი	1,527	-	1,820	1,278	166	-	1,958	-	694	12,368	41,981	644	2,170	214	-	1,390	1,160	-	3,662	364	882	-	-	-	-	-	**72,277**	**69,365**
იურიდიული ხარჯი	-	-	36	-	-	-	-	768	9,826	-	5,124	24,607	-	2,458	-	-	-	1,961	510	-	-	-	-	-	1,243	-	**46,531**	**2,155**
კომუნიკაციის ხარჯი	8,228	-	1,989	2,125	-	-	4,436	2,748	566	797	4,592	3,487	2,291	2,653	-	1,117	1,114	747	2,188	-	-	520	-	-	6,558	-	**46,154**	**52,797**
საოფისე ხარჯი	59	1,601	-	923	926	-	857	783	1,480	1,152	4,270	5,625	901	1,780	-	239	-	-	1,213	592	-	2,097	-	245	10,021	-	**34,938**	**17,279**
დაზღვევის ხარჯი	990	-	53	2,635	82	173	698	1,689	69	54	3,590	1,169	2,178	7,125	132	2,640	1,280	1,578	976	159	53	-	-	-	1,926	-	**29,248**	**30,214**
საპენსიო	620	-	2,405	2,255	550	275	1,371	2,401	69	1,328	2,375	1,523	1,526	2,540	715	844	612	406	2,282	696	920	413	148	87	418	-	**26,779**	**25,482**
რეკლამის ხარჯი	3,800	-	-	-	2,733	-	2,734	-	-	1,531	-	-	2,423	1,020	-	-	-	-	1,531	-	-	-	-	-	9,241	-	**25,012**	**6,943**
ცვეთა და ამორტიზაცია	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	25,335	-	**25,335**	**16,957**
მივლინების ხარჯი	-	385	684	1,605	43	-	2,081	898	750	6,352	1,224	-	-	1,027	-	-	-	-	1,212	128	-	-	-	-	1,396	-	**17,784**	**12,613**
ხაზინის ხარჯი	-	2,023	1,100	2,450	-	-	600	814	-	810	2,175	114	-	370	-	-	-	1,270	-	40	270	-	-	500	320	-	**12,856**	**7,217**
კომუნალური ხარჯი	1,238	-	619	1,332	-	-	1,168	644	95	-	1,060	992	1,073	344	-	71	1,184	999	390	-	-	-	-	-	-	-	**11,212**	**10,497**
ბანკის საკომისიო	43	65	97	211	1,746	18	432	312	25	870	503	207	341	463	21	102	99	106	422	92	94	34	23	12	204	-	**6,539**	**2,974**
კომპიუტერის ხარჯი	-	40	-	247	-	-	115	160	-	204	259	286	-	208	-	198	-	-	122	164	-	-	-	-	1,542	-	**3,545**	**11,450**
შესყიდვები	-	20	431	112	-	-	220	180	43	-	385	121	139	210	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	**1,860**	**-**
გამოცემის ხარჯი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1,500	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	**1,500**	**-**
სხვა ხარჯები	6,361	-	11	1,927	12,262	-	3,790	240	1,267	12,709	4,734	1,490	2,614	12,991	1,500	518	-	908	648	160	1,142	3,379	-	-	5,899	(4,606)	**69,943**	**71,712**
სულ	**74,582**	**23,339**	**54,567**	**146,764**	**62,072**	**14,820**	**145,171**	**84,480**	**35,482**	**271,283**	**436,525**	**159,230**	**112,375**	**217,248**	**41,509**	**61,066**	**39,537**	**36,070**	**152,116**	**50,924**	**72,213**	**34,042**	**20,969**	**7,104**	**150,559**	**(4,606)**	**2,499,442**	**2,128,465**

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2024 წლის 30 სექტემბერს:

თამთა მიქელაძე
დირექტორი
სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მედეა ჟღენტი
ფინანსური მენეჯერი
სოციალური სამართლიანობის ცენტრი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
საგრანტო დაფინანსებით მიღებული ფულადი სახსრები	2,167,860	1,726,858
შემოწირულობები	65,175	254,864
თანხის გაცემა თანაგანმახორციელებელი პარტნიორებისთვის	-	(343,029)
ქვე-გრანტიორებისთვის გადახდილი ავანსები	-	-
თანამშრომლებზე გადახდილი ავანსები	(799,149)	(807,861)
მიღებული მომსახურება და შეძენილი საქონელი	(471,438)	(286,642)
გადახდილი გადასახადები	(326,710)	(282,440)
გადახდილი ჰონორარები	(247,586)	(33,003)
მივლინების ხარჯებისთვის გაწეული ფულადი სახსრები	(92,220)	(63,277)
ოფისის ხარჯი	(77,233)	(82,776)
ტრანსპორტირებისთვის გადახდილი თანხები	(74,682)	(48,577)
იჯარის ხარჯი	(59,456)	(58,680)
საპენსიო ხარჯი	(59,419)	(50,183)
პრეზენტაციების, კონფერენციებისა და ტრენინგების ჩასატარებლად გადახდილი თანხები	(24,178)	(32,700)
წიგნებისა და პუბლიკაციებისთვის გადახდილი თანხები	(17,732)	(10,679)
საბანკო ხარჯი	(6,236)	(2,962)
სხვა ხარჯები	(31,334)	(31,371)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**(54,338)**	**(152,458)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(15,730)	(26,412)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(15,730)**	**(26,412)**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	**(70,068)**	**(178,870)**
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	16,304	(106,369)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**557,943**	**843,182**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის	**504,179**	**557,943**

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2024 წლის 30 სექტემბერს:

თამთა მიქელაძე

დირექტორი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მედეა ჟღენტი

ფინანსური მენეჯერი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ

სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი „ადამიანების უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, ორგანიზაციამ შეიცვალა სახელი და ეწოდება „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ 2021 წლის 1-ლი იანვრიდან) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ს/კ 404432565), წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა პროფესიული ისტორიის მქონე ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო აქტივისტებს. ცენტრი წარმოადგენს აქტივისტებისა და უფლება დამცველთა ღია პლატფორმას, ერთგვარ რესურსს, რომლის გამოყენების შესაძლებლობა აქვს ყველა მსურველს, ვინც იზიარებს სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ დეკლარირებულ ღირებულებებს.

მისი დაარსების დღიდან (2012 წლის 28 ნოემბერი) სოციალური სამართლიანობის ცენტრი მუშაობს მოწყვლადი და დისკრიმინირებული ჯგუფების უფლებების დაცვის, სამართალდამცავი ორგანოების სისტემური რეფორმირების, სტრუქტურული ძალადობისა და სოციალური ჩაგვრის აღმოფხვრის საკითხებზე. ორგანიზაციის ძირითადი ბენეფიციარები არიან სოციალურად დაუცველი უსახლკარო პირები, მძიმე სამუშაო პირობებში დასაქმებულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ლგბტ და რელიგიური ჯგუფები. თავის საქმიანობაში სოციალური სამართლიანობის ცენტრი იყენებს კვლევის, მონიტორინგის, ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების ინსტრუმენტებს.

აღნიშნულ თემატიკაზე სოციალური სამართლიანობის ცენტრი სამი ძირითადი პროგრამული მიმართულებით მუშაობს:

- თანასწორობის პოლიტიკის პროგრამა;
- მართლმსაჯულების და დემოკრატიის პროგრამა;
- სოციალური პოლიტიკის პროგრამა.

ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურა ჰორიზონტალურია და მას სამი პროგრამის დირექტორი კოლეგიურად, თანამშრომლების აქტიური მონაწილეობით, მართავს. ორგანიზაციისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების გადაწყვეტა სოციალური სამართლიანობის ცენტრის გუნდური კონსენსუსის გზით ხდება.

აგრეთვე, სოციალური სამართლიანობის ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდა სამოქალაქო აქტივისტების პლატფორმის მხარდაჭერა, რომელიც მიზნად იასახავს ალტერნატიული სააზროვნო სივრცის შექმნასა და სტუდენტებისა და აქტივისტთა ორგანიზებული ჯგუფების მხარდაჭერას.

ამჟამად ორგანიზაცია აერთიანებს იურისტებით, სოციოლოგებით, ჟურნალისტებითა და გენდერის სპეციალისტებით დაკომპლექტებულ 31-კაციან გუნდსა და კიდევ სხვა პროფესიის მქონე არაერთ კონტრიბუტორს, რომელთა ერთობლივი მუშაობაც მიმართულია სოციალური სამართლიანობის ცენტრის მისიაში დეკლარირებული მიზნების შესრულებისაკენ.

2021 წლის 18 ნოემბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „ევროკავშირს“, „CRRC საქართველოს“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ (საია) და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტის „ანგარიშვალდებული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მხარდაჭერა“ განსახორციელებლად. უსაფრთხოების სექტორის კვლევის, ადვოკატირებისა და ინკლუზიური დიალოგის მეშვეობით“. პროექტის ხანგრძლივობაა 2022 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 625 000 ევროს. (ევროკავშირი აფინანსებს 80%-ს). **(ENI/2021/428-751) (EU751).**

2021 წლის 30 ნოემბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება "ევროკავშირს", „ღია საზოგადოების ფონდს“, „ასოციაცია საზოგადოებრივი გაერთიანება ბემონს“, "ნაბიჯი მომავლიკენ", "ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია (XENON)", "საქართველოს საოჯახო მედიცინის პროპესონალთა კავშირი და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტის "სამოქალაქო საზოგადოებისა და პროფესიული ორგანიზაციების გაძლიერება საქართველოში უსაფრთხო, უზრუნველყოფილი და ანგარიშვალდებული საზოგადოების უზრუნველსაყოფად" განხორციელების მიზნით. პროექტის ხანგრძლივობაა 2021 წლის 30 ნოემბრიდან 2024 წლის 30 ნოემბრამდე. პროექტისბიუჯეტის სრული ოდენობაა 1,786,000.00 ევრო. გრანტის თანხამ შეადგინა ,350,000.00 ევრო (ევროკავშირი აფინანსებს 75.59%%-ს) **(ENI/2021/429-043; EU043).**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები *(გაგრძელება)*

შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ *(გაგრძელება)*

2018 წლის 1 იანვარს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „სექსუალური განათლების შვედურ ასოციაცია“-სა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტის ”ლგბტ პირთა უფლებების გაძლიერება, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების ადვოკატირება და ქვიარ აქტივისტთა მხარდაჭერა“ განხორციელების მიზნით. პროექტის ხანგრძლივობაა 2018 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე. გრანტის თანხამ შეადგინა 3,500,000 შვედური კრონი. 2020 წლის 26 მარტს ხელმოწერილი დამატების საფუძველზე პროექტის ბიუჯეტი გაიზარდა 430,000 შვედური კრონით. ცვლილება #2 არეგულირებს დაფინანსების ორ დამატებით ნაკადს. პირველი შეესაბამება RFSU-ს მიერ 990,000 კრონას დამატებით დაფინანსებას SIDA-სა და RFSU-ს შორის #6 ცვლილების შედეგად საქართველოში დამატებითი საქმიანობისთვის, რომელიც დაფინანსებულია შვედეთის საელჩოს მიერ საქართველოში 2021 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისთვის. ასევე, RFSU ანიჭებს SJC-ს დამატებით 100,000 კრონას 2022 წლისთვის ძირითადი ხელშეკრულების ფარგლებში საქმიანობის დასაფინანსებლად. 2022 წლის 28 ნოემბერს ხელმოწერილი #3 შესწორების საფუძველზე პროექტი გაგრძელდა 2023 წლის 31 დეკემბრამდე. გახანგრძლივებული პერიოდის ჯამური ოდენობაა 920,000 შვედური კრონა. **(RFSU-4401-040301-1801).**

2022 წლის 1 აპრილს „შვეიცარიის საგარეო საქმეთა ფედერალურ დეპარტამენტსა (FDFA)“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება პროექტის „თანასწორობის, სოლიდარობისა და სოციალური მშვიდობის ხელშეწყობა საქართველოში“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობაა 2022 წლის 1 აპრილიდან 2024 წლის 31 მარტამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 191,392.57 ევროს (პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 80%). **(SWISS 2022; N81073465)**

2021 წლის 1 ივლისს ხელი მოეწერა პარტნიორობის ხელშეკრულებას ნიდერლანდების სახელმწიფოსა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტის „დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს მხარდაჭერა“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობაა 2021 წლის 1 ივლისიდან 2023 წლის 1 იანვრამდე. სოციალური სამართლიანობის ცენტრის გრანტის ოდენობა შეადგენს 290,822 ლარს **(DUTCH-2021) .**

2023 წლის 11 თებერვალს ხელი მოეწერა პარტნიორობის ხელშეკრულებას ნიდერლანდების სახელმწიფოსა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტის „კანონის უზენაესობის ხელშეწყობა საქართველოში მონიტორინგის, კვლევის გზით“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობაა 2023 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 290,822 ლარს **(DUTCH-AVT16) .**

2022 წლის 27 აპრილს „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდსა“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება პროექტის „ადვოკატირება სამართლიანი ანაზღაურებისა და ხელმისაწვდომი საცხოვრებლისათვის“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობაა 2022 წლის 27 აპრილიდან 2023 წლის 27 აპრილამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტია 50,000 აშშ დოლარი **(LDD/02/22 – 21335; OSGF 21335).**

2022 წლის 9 ნოემბერს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდსა“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტის „შრომითი უფლებების დაცვის ხელშეწყობა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების შეფასება საქართველოში“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობაა 2022 წლის 9 ნოემბრიდან 2023 წლის 9 ნოემბრამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 60,000 აშშ დოლარს (**OSGF21391).**

2022 წლის 22 დეკემბერს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდსა“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტის „საქართველოს განათლების სისტემაში არადომინანტი ეთნიკური ჯგუფების წინაშე უთანასწორობის შემცირება პოზიტიური პრაქტიკის შექმნით და ადვოკატირებით“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობაა 2022 წლის 22 დეკემბრიდან 2023 წლის 22 ოქტომბრამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტია 25,000 აშშ დოლარი (**OSGF21339).**

2023 წლის 7 სექტემბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდსა“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტის „შრომის უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობა და შრომითი სამართლიანობის“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობაა 2023 წლის 7 სექტემბრიდან 2024 წლის 7 მაისამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტია 14,500 აშშ დოლარი (**OSGF21490).**

2023 წლის 2 თებერვალს „The Kvinna till Kvinna“-სა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება პროექტის „კონფლიქტების ტრანსფორმაციის ხელშეწყობა კონფლიქტებთან დაკავშირებული ისტორიის კრიტიკული გადახედვით და ქალთა პერსპექტივების განმტკიცებით“ განსახორციელებლად. პროექტის პერიოდია 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 აგვისტომდე. პროექტის საერთო ბიუჯეტია 700,000 შვედური კრონა (**KVINNA)**.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები *(გაგრძელება)*

შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ *(გაგრძელება)*

2023 წლის 13 იანვარს ჰაინრიხ-ბოლის ფონდმა და სოციალური სამართლიანობის ცენტრმა ხელი მოაწერეს საგრანტო კონტრაქტს პროექტზე „ადვოკატირება ტრანსფორმაციული სამშვიდობო პოლიტიკის იდეები და ცვლილებები საქართველოში კონფლიქტით დაზარალებული თემების ადამიანის უფლებებისა და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“, რომლის ხანგრძლივობაა 2023 წლის 13 იანვრიდან 2023 წლის 15 დეკემბრამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 42,000 ლარს **(12572054; BOELL054).**

2023 წლის 13 იანვარს ჰაინრიხ-ბოლის ფონდმა და სოციალური მართლმსაჯულების ცენტრმა ხელი მოაწერეს საგრანტო კონტრაქტს პროექტზე „ანგარიშვალდებული, სამართლიანი და ადამიანური მიმართულებით“. უფლებებზე ორიენტირებული სამთო სექტორი საქართველოში”, რომლის ხანგრძლივობაა 2023 წლის 25 აპრილიდან 2023 წლის 25 დეკემბრამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 40,650 ლარს. **(12571018; BOELL018).**

2022 წლის 1 ივლისს „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)“ და სოციალური მართლმსაჯულების ცენტრს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება პროექტის „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება საქართველოს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისთვის“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობაა 2022 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 29 თებერვლამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 89,500.40 აშშ დოლარს (**PROLoG_2039).**

2022 წლის 11 ივლისს „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)“ და სოციალური მართლმსაჯულების ცენტრს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება პროექტის „საქართველოს სასამართლო სისტემის ყოვლისმომცველი რეფორმების ხელშეწყობა“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობაა 2022 წლის 11 ივლისიდან 2024 წლის 10 იანვრამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტია 27,198.64 აშშ დოლარი (**PROLoG_2045).**

2022 წლის 15 სექტემბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „საქართველოს გაერთიანებული ერების ასოციაციასა“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტის „ერთობა მრავალფეროვნებაში“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობაა 2022 წლის 1 სექტემბრიდან 2023 წლის 30 სექტემბრამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტია 58,382 აშშ დოლარი (**UNFA_2022).**

2022 წლის 21 ოქტომბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტის „საქართველოს მიზნობრივი სოციალური დახმარების ანალიზის“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობაა 2022 წლის 26 სექტემბრიდან 2024 წლის 26 ივლისამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 99,500 აშშ დოლარს **(CSEP).**

2022 წლის 5 ოქტომბერს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას “Institute of War & Peace Reporting in UK” და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტის “მდგრადობის შექმნა აღმოსავლეთ სამეზობლოში” განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობაა 2022 წლის 26 სექტემბრიდან 2023 წლის 28 თებერვლამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტია 35,000 GBP **(IWPR 662.06).**

2023 წლის 19 ივლისს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტს დიდ ბრიტანეთში“ და სოციალური მართლმსაჯულების ცენტრს შორის პროექტის „არასახელმწიფო აქტორების მხარდაჭერა საზოგადოების მდგრადობის გასაუმჯობესებლად საფრთხის გაზრდილი სპექტრის კონტექსტში აღმოსავლეთის სამეზობლოში“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობაა 2023 წლის 15 ივლისიდან 2024 წლის 15 იანვრამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტია 50,000 GBP **(IWPR 662.05).**

2023 წლის 15 მაისს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას „People in need (PIN)“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტის „მშვიდობისა და განვითარების პროგრამა სამხრეთ კავკასიაში - პროექტი, რომელიც აძლიერებს მშვიდობის აღმშენებლობას კომუნიკაციას და დიალოგს ციფრული ინოვაციების მეშვეობით“. პროექტის ხანგრძლივობაა 2023 წლის 15 მაისიდან 2024 წლის 15 იანვრამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 35,348 ლარს **(PIN).**

2020 წლის 15 მაისს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება სოციალური სამართლიანობის ცენტრსა და Burghley Yard-ის Conciliation Resources-ს (“CR”) შორის . პროექტის ხანგრძლივობაა 2023 წლის 1 აპრილიდან 2023 წლის 31 ოქტომბრამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 25,000 ევროს **(CSSF - CAUCS04; CR).**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები *(გაგრძელება)*

შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ *(გაგრძელება)*

2023 წლის 1 ივლისს „ევრაზიის ზიანის შემცირების ასოციაციამ“ (EHRA) და სოციალური სამართლიანობის ცენტრმა ხელი მოაწერეს საგრანტო კონტრაქტს პროექტზე "SUSTAINABILITY of SERVICES for key population in EECA”. პროექტის ხანგრძლივობაა 2023 წლის 1 ივლისიდან დეკემბრამდე. 31, 2023. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 13,616 ევროს **(04-09-2023-SG-SOS-GEO; EHRA) .**

2023 წლის 14 მაისს „გაერო-ს გენერალური ასამბლეის (UNDP) მიერ დაარსებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და სოციალური სამართლიანობის ცენტრმა ხელი მოაწერეს საგრანტო კონტრაქტს პროექტზე „ახალგაზრდების მონაწილეობის გაძლიერება მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების მშენებლობაში სამხრეთ კავკასიაში“. პროექტის ხანგრძლივობაა 2023 წლის 15 მაისიდან 2023 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს10,000 აშშ დოლარს **(UNDP1) .**

2023 წლის 15 დეკემბერს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელიც შეიქმნა გაეროს გენერალური ასამბლეის (UNDP) მიერ“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრმა ხელი მოაწერეს საგრანტო კონტრაქტს პროექტზე „დაქვემდებარებული თემების ხმის გაძლიერება კვლევის, ადვოკატირებისა და შესაძლებლობების გაძლიერების გზით“, რომლიც ხანგრძლივობაა 2023 წლის 15 დეკემბრიდან 2025 წლის 14 თებერვლამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 333,197.5 ლარს **(00128099/00147528; UNDP2) .**

2023 წლის 18 ოქტომბერს „ლიტვის რესპუბლიკის საელჩომ საქართველოში“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრმა ხელი მოაწერეს საგრანტო ხელშეკრულებას პროექტზე „ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე“, რომლის ხანგრძლივობაა 2023 წლის 15 მაისიდან 2023 წლის 15 ნოემბრამდე. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს10,000 აშშ დოლარს **(DPR38-16; EMB.of Lithua) .**

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №-9) მიხედვით.

ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის პრინციპის და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

პირვანდელი ღირებულების პრინციპის მიხედვით აქტივების აღრიცხვა ხდება მათი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მათი შეძენის მომენტში. ვალდებულებები აღირიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ. ზოგიერთ შემთხვევაში კი იმ თანხით, რომლის ორგანიზაციიდან გასვლა მოსალოდნელია ამ ვალდებულების დასაფარად ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

დარიცხვის მეთოდის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან, ისინი ტარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც განეკუთვნებიან.

(ბ) საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქიონირებადი საწარმოს პრინციპით, რომელსაც საფუძვლად იყენებს ბუღალტრულ არღიცხვაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს ორგანიზაციის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას ან არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა.

2024 წლის 28 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“. კანონი განპირობებს შესაძლო ცვლილებებს ორგანიზაციის საქმიანობაში. კანონის ამ ფორმით შენარჩუნების შემთხვევაში ორგანიზაცია, შესაძლოა, გადახედავს სამართლებრივი ფორმისა და საქმიანობის სტრატეგიებს, თუმცა ეს პროცესი 2024 წლის შემდეგ დაიწყება.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენა უწყვეტი საქმიანობის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები *(გაგრძელება)*

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

(გ) შეფასებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე, რომელიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, შესრულებული ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებული პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებლები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვადებოდეს ამ შეფასებებისაგან.

(დ) ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

ორგანიზაციის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. თუმცა, ზოგიერთი გრანტი დონორისგან მიღებულია ევროში, შვედურ კრონსა და დოლარში. მართალია, ზოგიერთი ფინანსური რეპორტი დონორთან წარდგენილია ევროსა და დოლარში, თუმცა ანგარიშგება მზადდება ლარებში. ძირითადი ოპერაციები სრულდება ქართულ ლარში.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

(ე) უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2023 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	დეკემბერი 31, 2023	**დეკემბერი 31, 2022**
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი / 1 ევრო	2.9753	2.8844
ლარი / 10 შვედური კრონა	2.6868	2.5920

(ვ) საგრანტო შემოსავალი და გადავადებული გრანტი

ორგანიზაცია დონორისგან მისაღებ, ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხებს აღრიცხავს როგორც გადავადებულ გრანტს. ხოლო პროგრამის შესაბამისი დანახარჯების გაწევის და მათი აღიარების შემდეგ, შესაბამისი თანხით მცირდება გადავადებული გრანტის ოდენობა და ხდება ამ თანხის შემოსავლად აღიარება.

(ზ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში არსებული ფულადი სახსრებისგან.

(თ) გადასახადები

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, როგორც არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია, იხდის შემდეგ გადასახადებს:

- **საშემოსავლო გადასახადი (20%)** - აღნიშნული გადასახადი გადაიხდება მთლიანი ხელფასიდან და მასთან დაკავშირებული შეღავათებიდან, რომლებიც თანამშრომლებზე გაიცემა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული გადასახადი ხარჯების ანგარიშგებაში შედის, როგორც ხელფასის შემადგენელი ნაწილი და მასთან დაკავშირებული შეღავათები.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები *(გაგრძელება)*

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

(თ) გადასახადები *(გაგრძელება)*

უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ (18%) – აღნიშნული გადასახადი გადაიხდება:

- საგადასახადო აგენტისათვის არარეზიდენტი ფიზიკური პირის ან არარეზიდენტის საწარმოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაწეულ მომსახურებაზე;
- პირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემა;
- მომსახურების მიწოდება ან/და საქონლის/პროდუქციის (საპროექტო დოკუმენტები, ტექნიკური დოკუმენტები, წარმოების სქემები, პროგრამული უზრუნველყოფა და ა.შ.) მიწოდება საგადასახადო აგენტისთვის საქართველოს ტერიტორიის გარეთ ინტერნეტით ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით, თუ ეს არ არის საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა ფედერაციული სქემის ან ინფორმაციის სხვა გადამზიდველის მეშვეობით.
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 162-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საბაჟო საწყობში პირისგან შეძენილი უცხოური საქონელი, რომელიც მოქცეულია იმპორტის საბაჟო რეჟიმში.

საპენსიო სქემა - 2018 წლის 21 ივნისს საქართველომ დაადგინა ახალი კანონი საპენსიო ფონდის შესახებ, რომელიც ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვრიდან. გაერთიანებული საპენსიო სქემა ითვალისწინებს 6%-ის გადახდა. კერძოდ, თანამშრომელი გადარიცხავს დასაბეგრი ხელფასის 2%-ს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, დამსაქმებელი ასევე გადაურიცხავს დამატებით 2%-ს, ხოლო სახელმწიფო ფინანსებიდან გადაირიცხება კიდევ 2%, ორგანიზაცია გადაურიცხავს 2%-ს, როგორც დამსაქმებელს და ეს გადახდები არ არის წარმოდგენილი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

(თ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

აქტივების ჯგუფი	**სასარგებლო მომსახურების ვადა**
კომპიუტერი და ტექნიკა	2 - 5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	2 - 5 წელი
არამატერიალური აქტივები	2 - 5 წელი

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე მოგების განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში, ხარჯების გაწევის მომენტში.

(ი) წმინდა აქტივების კლასიფიკაცია

წმინდა აქტივები შედგება შეუზღუდავი წმინდა აქტივებისა და დროებით შეზღუდული წმინდა აქტივებისაგან:

შეუზღუდავი წმინდა აქტივები – წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების იმ შემოსავლებს და დონორისგან მიღებულ იმ შენატანებს, რომლებზეც არ ვრცელდება დონორის შეზღუდვები. ეს წმინდა აქტივები ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომია საოპერაციო მიზნებისათვის;

დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები – წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების იმ ნაწილს, რომელიც შექმნილია აქტივების შენატანებით და სხვა წყაროებით, რომელთა გამოყენება ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვებით, რომელიც იწურება დროთა განმავლობაში, ასევე ორგანიზაციის მიერ შეიძლება სხვაგვარად შესრულდეს ან გაუქმდეს;

მუდმივად შეზღუდული წმინდა აქტივები - წმინდა აქტივები, რომლებიც ექვემდებარება დონორის მიერ დაწესებულ ან სხვა საკანონმდებლო შეზღუდვებს, რომლებიც მოითხოვს ამ პრინციპის მუდმივ დაცვას ორგანიზაციის მიერ. ზოგადად, დონორები ორგანიზაციას უფლებას აძლევენ გამოიყენოს მიღებული შემოსავალი მთელი ან ნაწილი ზოგადი ან დონორის მიერ განსაზღვრული მიზნებისთვის.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები *(გაგრძელება)*

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

(კ) შემოსავალი

შემოსავლებში იგულისხმება შეუზღუდავი და დროებით შეზღუდული ფონდის შესავსებად განხორციელებული შენატანები, საწევრო შენატანები, შემოწირულობები, დივიდენდები, პროცენტები და სხვა სახის სარგებელი, რომელიც ზრდის ორგანიზაციის კომპანიის ფონდებს. შემოსავლების აღიარება უნდა მოხდეს გრანტით დასაფარავი დანახარჯების ან ხარჯების აღიარების პროპორციულად ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გრანტით დასაფარავი ხარჯებისა და შემოსავლების შესაბამისობა.

შენიშვნა 3: ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული ბანკში ვალუტების მიხედვით

	31-დეკ-2023	**31-დეკ-2022**
ლარი	166,249	281,965
ევრო	336,059	268,408
აშშ დოლარი	1,871	7,570
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**504,179**	**557,943**

შენიშვნა 4: მისაღები გრანტები

	31-დეკ-2023	**31-დეკ-2022**
EU751	441,241	839,671
EU043	348,542	439,543
UNDP_7796	260,744	-
RFSU-4401-040301-1801	228,478	224,274
SWISS_2022	215,101	426,642
CSEP	151,004	241,829
IWPR 662.05	102,684	-
PROLoG_2039	100,544	185,090
UNFA_2022	83,000	120,298
DUTCH_AVT16	61,250	-
SWISS	60,314	58,472
PIN	31,291	-
OSFG_21490	24,070	-
EPD_918	11,340	11,340
PROLoG1696	6,301	6,330
CR	5,611	-
KVINNA	4,538	-
CTC	4,071	4,090
OSGF_21064	1,070	1,070
OSGF21140	756	760
OSGF - 21391	-	81,060
IWPR 662.06	-	68,420
OSGF 21339	-	66,615
DUTCH_2021	-	6,643
სულ მისაღები გრანტები	**2,141,950**	**2,782,147**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები *(გაგრძელება)*

შენიშვნა 5: ძირითადი საშუალებები

2023 წელი

	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა აქტივები	ჯამი
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	137,134	33,895	**171,029**
შეძენა	28,735	7,027	**35,762**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**165,869**	**40,922**	**206,791**
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	65,828	33,617	**99,445**
წლის ცვეთა	22,184	1,430	23,614
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**88,012**	**35,047**	**123,059**
ნეტო ღირებულება			
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	**71,306**	**278**	**71,584**
ნაშთი 2023 წლის დეკემბრისთვის	**77,857**	**5,875**	**83,732**

შენიშვნა 6. გადავადებული შემოსავალი

	31-დეკ-2023	**31-დეკ-2022**
EU751	560,045	977,320
EU043	355,496	505,240
UNDP2	333,198	-
RFSU-4401-040301-1801	251,788	197,719
SWISS_2022	235,192	505,050
DUTCH2023	189,869	-
CSEP	156,302	252,720
IWPR05	146,995	-
PROLoG_2039	127,522	204,673
EED|EED/2421	119,012	-
UNFA_2022	110,667	135,613
PIN	36,982	-
OSF45437	33,250	33,250
KVINNA	26,521	-
OSGF21490	24,355	-
OSGF20961	22,281	22,281
OSGF21274	19,965	19,965
IWPR 662.06	19,964	92,682
IPHR	6,169	6,169
PROLoG1736	5,740	5,740
UNDP_00113905	5,257	5,257
DUTCH 2021	3,380	45,931
IDFI	1,796	1,796
PROLoG_2045	1,153	36,897
UNW	382	-
OSGF21064	380	380
PROLOG1909	202	201
OSGF - 21391	-	152,287
OSGF_21339	-	66,615
EFG03049	-	4,600
EHRA	-	-
OSGF_21335	-	49,157
სულ გადავადებული შემოსავალი	**2,793,863**	**3,321,543**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები *(გაგრძელება)*

შენიშვნა 7: გადავადებულ გრანტებში მოძრაობა

გადავადებულ გრანტებში მოძრაობა

	2023 წელი	**2022 წელი**
გადავადებული გრანტის საწყისი ნაშთი	3,321,543	3,014,323
დამატებული: პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებები	2,332,832	2,351,072
გამოკლებული: პერიოდის შემოსავლებში გადატანილი გადავადებული გრანტები	(2,860,512)	(2,043,852)
გადავადებული გრანტის საწყისი ნაშთი	**2,793,863**	**3,321,543**

შენიშვნა 8: ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო საქმეების წარმოება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ორგანიზაცია არ იყო ჩართული სამართალწარმოებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას. კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციის ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები

საოპერაციო გარემო

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ განიცადა სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად უფრო განვითარებულ ბიზნეს ბაზარზე არსებობს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესებზე ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას. გარდა ამისა, ეკონომიკური სტაბილურობის გაგრძელება დამოკიდებულია მეტწილად მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალური ზომების ეფექტურობაზე, საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებსა და ორგანიზაციის კონტროლს მიღმა სხვა ქმედებებზე.

შენიშვნა 9: საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2024 წლის 28 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“. ამ კანონის „მუხლი 2. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“-ს, მიხედვით განისაზღვრება რის მიხედვით ჩაითვლება ორგანიზაცია უცხური ძალის ინტერესების გამრატებელად,

ამ კანონის მიზნებისთვის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია არის:

ა) ისეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის დაფუძნებული, რომელიც არ არის „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია ან „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სისხლის დაწესებულება და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ არ ყოფილა რაიმე მოვლენა, რომელიც მოითხოვსა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მაჩვენებლების კორექტირებას ან რაიმე დამატებით ახსნას.

- დოკუმენტის დასასრული -